საქართველოს მთავრობის განკარგულება

№983 2018 წლის 4 მაისი ქ. თბილისი

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – პარტნიორობა ხელმისაწვდომი ჯანდაცვისათვის დაფუძნების მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ

1. სხვადასხვა სოციალური პროექტის შემუშავებისა და განხორციელების, მათ შორის, მოსახლეობის სამედიცინო მომსახურებასა და ფარმაცევტულ პროდუქტებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად, განხორციელდეს წევრობაზე დამოკიდებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – პარტნიორობა ხელმისაწვდომი ჯანდაცვისათვის დაფუძნება.

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთან დაკავშირებით, სახელმწიფოს, როგორც თანადამფუძნებლის ყველა უფლებამოსილება (დაფუძნებამდე და მის შემდეგ) განახორციელოს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ.

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი